ფრე ჰანოვერში

მეორე მატჩი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებიან, ჰქონდათ ქ. ჰანოვერში. აქ ისინი შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს – „ჰანოვერ–96“.

დინამოელებმა მძლავრი შეტევით დაიწყეს თამაში. მათ პირველივე წუთებიდან აიღეს ხელთ ინიციატივა და თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს. მე–12, მე–20 და 35–ე წუთებზე მასპინძელთა კართან არ იქნა გამოყენებული გოლის გატანის უაღრესად ხელსაყრელი შესაძლებლობანი და ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ – 0:0.

მეორე ტაიმი თბილისელებმა კვლავ შეტევით დაიწყეს. მესხი სწრაფად გაიჭრა თავის ფლანგზე და გადააწოდა ცენტრში, სადაც დროზე გავიდა კალოევი და თავით გაგზავნა ბურთი კარში – 1:0. მცირე ხანს შემდეგ გერმანელთა ერთ–ერთი შეტევისას კოტრიკაძის მიერ დაბრუნებულ ბურთს მოუსწრო „ჰანოვერის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჰეიზერმა და გაათანაბრა ანგარიში – 1:1. რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე ჰეიზერმა გამოიყენა „დინამოს“ დაცვაში დაშვებული შეცდომა და წინ გაიყვანა თავისი გუნდი – 2:1.

დინამოელებმა გააძლიერეს იერიშები. იამანიძე კარგად გავიდა რამდენიმე მცველს შორის, გადასცა ბურთი კალოევს, რომელმაც კვლავ თავური დარტყმის შემდეგ აღადგინა წონასწორობა ანგარიშში – 2:2.

11 აგვისტო, 1962 წ.